

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-93/ნ

2019 წლის 24 ოქტომბერი

ქ. თბილისი

**სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებათა იმპორტისა და ექსპორტის
სანებართვო მოწმობის, წინასწარი შეთანხმების დოკუმენტის ფორმებისა და მათი გაცემის წესების
დამტკიცების შესახებ**

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლისა და „ფარმაცოლოგიურ
საშუალებათა კლინიკური კვლევის, ფარმაცევტული წარმოების, ავტორიზებული აფთიაქის,
სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებათა იმპორტის ან ექსპორტის
ნებართვების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019
წლის 16 ივლისის №335 დადგენილების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული:

1. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტსა და ექსპორტზე
წინასწარი შეთანხმების დოკუმენტის გაცემის წესი (დანართი №1).
2. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტისა და ექსპორტის
სანებართვო მოწმობის გაცემის წესი (დანართი №2).
3. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტისა და ექსპორტის
სანებართვო მოწმობის ფორმა (დანართი № 3).
4. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტსა და ექსპორტზე
წინასწარი შეთანხმების დოკუმენტის ფორმები (დანართი №4).

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 1 ნოემბრიდან.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრი

ეკატერინე ტიკარაძე

დანართი №1

**სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტსა და ექსპორტზე
წინასწარი შეთანხმების დოკუმენტის გაცემის წესი**

1. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტისა და ექსპორტის
განხორციელებისათვის წინასწარი შეთანხმების დოკუმენტს გასცემს საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
(შემდგომში – სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის
იურიდიული პირი – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო
(შემდგომში – სააგენტო).
2. წინასწარი შეთანხმების დოკუმენტი გაიცემა:

ა) „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და
ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სპეციალურ კონტროლს
დაქვემდებარებულ ნივთიერებებზე;



ბ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებულ სამკურნალო საშუალებებზე;

გ) საქართველოში წარმოებული იმ კომბინირებული ფარმაცევტული პროდუქტის ექსპორტისათვის, რომელიც შეიცავს ერთ ან რამდენიმე ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში მითითებულ ნივთიერებას;

დ) სამეცნიერო-კვლევითი და საექსპერტო-კრიმინალისტიკური საქმიანობისათვის საჭირო ეტალონურ სტანდარტულ ნიმუშებზე;

ე) იმ ფარმაცევტული პროდუქტის იმპორტისათვის, რომლებიც საქართველოში არ ექვემდებარება სპეციალურ კონტროლს, მაგრამ აღნიშნულ დოკუმენტს ითხოვს ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ეროვნული ორგანო.

3. წინასწარი შეთანხმების დოკუმენტის მაძიებელი სააგენტოს წარუდგენს:

ა) ხელმოწერით დამოწმებულ განცხადება-დეკლარაციას, სააგენტოს მიერ დამტკიცებული ფორმით, რომელშიც ქართულ და ინგლისურ ენებზე მითითებული უნდა იყოს:

ა.ა) წინასწარი შეთანხმების დოკუმენტის მაძიებლის დასახელება (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით);

ა.ბ) იმპორტიორის (ექსპორტიორის) სამართლებრივი ფორმა და დასახელება, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართები;

ა.გ) საიმპორტო (საექსპორტო) პროდუქტის სავაჭრო და გენერული დასახელება, ფორმა, დოზის ერთეული, რაოდენობა, მწარმოებელი ფირმის დასახელება;

ა.დ) იმპორტის (ექსპორტის) მიზანი;

ა.ე) ტრანსპორტის სახეობა, რომლითაც განხორციელდება საიმპორტო (საექსპორტო) ოპერაცია;

ა.ვ) იმპორტის (ექსპორტის) განხორციელების სავარაუდო ვადა;

ა.ზ) ექსპორტის შემთხვევაში იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ეროვნული ორგანოს მიერ გაცემული წინასწარი საიმპორტო ნებართვის მოწმობის № და გაცემის თარიღი.

ბ) მომწოდებელთან (შესაბამისად – მიმღებთან) გაფორმებული ხელშეკრულება (შესაბამისი სპეციფიკაციის ამსახველი ინფორმაციით – ხელშეკრულების დანართი), ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანით;

ბ.ა.) ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისი) ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი;

ბ.ბ.) ექსპორტის შემთხვევაში იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ეროვნული ორგანოს მიერ გაცემული წინასწარი საიმპორტო ნებართვის მოწმობის დედანი.

გ) სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და საექსპერტო-კრიმინალისტიკური საქმიანობისათვის საჭირო სტანდარტული ეტალონური ნიმუშების იმპორტი (ექსპორტი) ხორციელდება მხოლოდ წინასწარი შეთანხმების დოკუმენტის საფუძველზე და დამატებით სანებართვო მოწმობის გაცემას არ საჭიროებს.

4. თუ წინასწარი შეთანხმების დოკუმენტის მაძიებელი წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების განმახორციელებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, პროგრამებით გათვალისწინებული მიზნებისათვის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის იმპორტისათვის საჭირო წინასწარი შეთანხმების დოკუმენტის მისაღებად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ დოკუმენტაციასთან ერთად, დამატებით, უნდა წარადგინოს პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ბრუნვის უფლების მქონე ავტორიზებული აფთიაქის ნებართვა ან პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის



ბრუნვის უფლების მქონე ავტორიზებულ აფთიაქთან გაფორმებული ხელშეკრულება (ასლი).

5. წინასწარი შეთანხმების დოკუმენტი იმპორტზე ფორმდება ინგლისურ ენაზე, 6 ეგზემპლარად (ყველა ეგზემპლარი წარმოადგენს დედანს), აქედან ერთი ეგზავნება ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტურ ეროვნულ ორგანოს, ერთი – სანებართვო მოწმობის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს, ერთი – იმპორტიორ ორგანიზაციას, ორი ეგზემპლარი – შემოსავლების სამსახურს, რომელიც ავსებს დოკუმენტის მეორე გვერდზე არსებულ გრაფას და იმპორტიორის მეშვეობით უბრუნებს სააგენტოს. ერთი ეგზემპლარი რჩება სააგენტოში.

6. წინასწარი შეთანხმების დოკუმენტი ექსპორტზე ფორმდება ინგლისურ ენაზე, 6 ეგზემპლარად (ყველა ეგზემპლარი წარმოადგენს დედანს), აქედან ერთი ეგზავნება სანებართვო მოწმობის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს, ერთი – ექსპორტიორ ორგანიზაციას, ორი ეგზემპლარი – შემოსავლების სამსახურს, რომელიც ავსებს დოკუმენტის მეორე გვერდზე არსებულ გრაფას და ექსპორტიორის მეშვეობით უბრუნებს სააგენტოს. ერთი ეგზემპლარი რჩება სააგენტოში, ხოლო ერთი – იმპორტის დადასტურების მიზნით, ეგზავნება იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტურ ეროვნულ ორგანოს.

7. წინასწარი შეთანხმების დოკუმენტი გაიცემა მხოლოდ ერთჯერადად განსახორციელებელ საიმპორტო (საექსპორტო) რაოდენობაზე, ერთ წლამდე ვადით, მაგრამ არაუმეტეს მომწოდებელთან (შესაბამისად – მიმღებთან) გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადისა.

8. წინასწარი შეთანხმების დოკუმენტში დასაშვებია რამდენიმე დასახელების ფარმაცევტული პროდუქტის ან ეტალონური სტანდარტული ნიმუშის მითითება.

9. წინასწარი შეთანხმების დოკუმენტის ყველა ეგზემპლარის დაკარგვისას იმპორტიორი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს. აღნიშნული დოკუმენტი ითვლება ძალადაკარგულად და დუბლიკატი არ გაიცემა.

დანართი №2

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტისა და ექსპორტის სანებართვო მოწმობის გაცემის წესი

1. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებათა ნებართვის მისაღებად ნებართვის მაძიებელმა, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლით განსაზღვრული დოკუმენტაციის გარდა, ნებართვის გამცემს დამატებით უნდა წარუდგინოს:

ა) სააგენტოს მიერ გაცემული წინასწარი შეთანხმების დოკუმენტის დედანი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტზე ან/და ექსპორტზე;

ბ) ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისი) ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

2. სანებართვო მოწმობა ივსება სამ პირად, რომელთაგან ერთი პირი რჩება ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს, ხოლო მეორე და მესამე პირი გადაეცემა საქონლის მფლობელს ან საქონლის მფლობელის ნდობით აღჭურვილ პირს.

3. სანებართვო მოწმობაში შეიტანება შემდეგი ინფორმაცია:

ა) რეკვიზიტში „გამცემი ორგანო“ – მიეთითება გამცემი ორგანოს სრული დასახელება;

ბ) რეკვიზიტში „განმცხადებელი (იმპორტიორი/ექსპორტიორი)“ – აღინიშნება დეკლარანტის სრული დასახელება სამართლებრივი ფორმის მითითებით, ასევე მიეთითება სასაქონლო ოპერაციის დასახელება „იმპორტი“ ან „ექსპორტი“;



გ) რეკვიზიტში „საიდენტიფიკაციო ნომერი“ – მიეთითება დეკლარანტის საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელიც მინიჭებული აქვს შემოსავლების სამსახურის მიერ;

დ) რეკვიზიტებში „იურიდიული მისამართი/ფაქტობრივი მისამართი“ – მიეთითება განმცხადებლის როგორც იურიდიული, ასევე ფაქტობრივი მისამართი, ცალ-ცალკე;

ე) რეკვიზიტში „მიმღები/მომწოდებელი“ – მიეთითება იმ ორგანიზაციის სრული დასახელება, რომელიც ყიდის (იმპორტისას) ან ყიდულობს საქონელს (ექსპორტისას);

ვ) რეკვიზიტში „მისამართი“ – იმპორტისას მიეთითება საქონლის მომწოდებლის იურიდიული მისამართი, ხოლო ექსპორტისას – მიმღების იურიდიული მისამართი;

ზ) რეკვიზიტში „მიმღები/მომწოდებელი ქვეყანა“ – მიეთითება ქვეყნის დასახელება, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება საქონლის მომწოდებელი იმპორტისას ან მიმღები – ექსპორტისას;

თ) რეკვიზიტში „საქონლის დანიშნულება“ – მიეთითება ფარმაცევტული პროდუქტის გამოყენების მიზნობრიობა (კომერციული, ჰუმანიტარული, სახელმწიფო შესყიდვა, წარმოებისათვის, სარეგისტრაციო ნიმუში, საანალიზო ნიმუში, კლინიკური კვლევისათვის);

ი) რეკვიზიტში „ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი) ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტის ნომერი და თარიღი“ – მიეთითება ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისის) ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტის ნომერი და თარიღი;

კ) რეკვიზიტში „წინასწარი შეთანხმების დოკუმენტის ნომერი და გაცემის თარიღი“ – მიეთითება სააგენტოს მიერ გაცემული წინასწარი შეთანხმების დოკუმენტის № და გაცემის თარიღი;

ლ) რეკვიზიტში „რიგითი №“ – მიეთითება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალების რიგითი ნომერი;

მ) რეკვიზიტში „სამკურნალო საშუალების დასახელება“ – მიეთითება სამკურნალო საშუალების სავაჭრო დასახელება, მისი ფორმა, დოზა, საჭიროების შემთხვევაში – კონცენტრაცია, შეფუთვაში პრეპარატის რაოდენობა;

ნ) რეკვიზიტში „ათვლის ერთეული“ – მიეთითება ათვლის ერთეულის დასახელება (ფლაკონი, შეფუთვა, ამპულა და სხვ.);

ო) რეკვიზიტში „რაოდენობა“ – მიეთითება საქონლის რაოდენობა, გრაფაში „ათვლის ერთეული“ აღნიშნული ათვლის ერთეულის შესაბამისად;

პ) რეკვიზიტში „სერია“ – მიეთითება ფარმაცევტული პროდუქტის სერიის ნომერი;

ჟ) რეკვიზიტში „მწარმოებელი ქვეყანა“ – მიეთითება იმ ქვეყნის დასახელება, სადაც განხორციელდა ფარმაცევტული პროდუქტის წარმოება;

რ) რეკვიზიტში „მწარმოებელი“ – მიეთითება იმ მწარმოებლის დასახელება, რომელიც აწარმოებს ფარმაცევტულ პროდუქტს;

ს) რეკვიზიტში „ნებართვის გაცემის საფუძველი“ – სააგენტოს დირექტორის ადმინისტრაციული აქტი თარიღისა და ნომრის მითითებით;

ტ) რეკვიზიტში „სანებართვო მოწმობის მოქმედების ვადა“ – მიეთითება ნებართვის მოქმედების ვადა.

4. სანებართვო მოწმობას აქვს ინდივიდუალური ნომერი და შესაძლებელია გაიცეს როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით, რომლებსაც თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნიათ.





საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო

სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტისა და ექსპორტის
სანებართვო მოწმობის ფორმა

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტის ან ექსპორტის
სანებართვო მოწმობა № 000000

განმცხადებელი იმპორტიორი/ექსპორტიორი	მიმღები/ მომწოდებელი	საქონლის დანიშნულება
-----	-----	-----
საიდენტიფიკაციო ნომერი	მისამართი	ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისი), ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტის
-----	-----	-----
იურიდიული მისამართი	-----	№ და თარიღი
-----	-----	-----
-----	მიმღები /მომწოდებელი ქვეყანა -----	წინასწარი შეთანხმების დოკუმენტის
-----	-----	№ და გაცემის თარიღი
-----	-----	-----
ფაქტობრივი მისამართი	-	-----
-----	-----	-----
-----	-----	-----



რიგითი №	სამკურნალო საშუალების დასახელება	ათვის ერთეული	რაოდენობა	სერია	მწარმოებელი ქვეყანა	მწარმოებელი

ნებართვის გაცემის საფუძველი-----

სანებართვო მოწმობის მოქმედების ვადა „----“ ----- 20--წ.

სააგენტოს დირექტორის ხელმოწერა

ბ.ა.

დანართი №4

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტსა და ექსპორტზე
წინასწარი შეთანხმების დოკუმენტის ფორმები

ა) წინასწარი შეთანხმების დოკუმენტის ფორმა ნარკოტიკული საშუალებების იმპორტზე

(წინა გვერდი)

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტრო

სსიპ „სამედიცინო და ფარმაცევტული
საქმიანობის რეგულირების სააგენტო“

0119 თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №144
საქართველო



Ministry of Internally displaced persons
from the occupied territories, Labor,
Health and Social Affairs of Georgia

LEPL „Regulation Agency for Medical
and Pharmaceutical Activities“

AK. TSERETELI AVENUE 144, 0119,
TBILISI, GEORGIA



წინასწარი შეთანხმების დოკუმენტი ნარკოტიკული საშუალებების იმპორტზე

DOCUMENT OF PRELIMINARY AGREEMENT ON NARCOTIC DRUGS IMPORT

No 000000

სსიპ „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო“, რომელსაც ეკისრება „ნარკოტიკული საშუალებების შესახებ“ გაეროს 1961 წლის ერთიანი კონვენციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება ნარკოტიკულ საშუალებებსა და მათ წარმოებულებზე, ადასტურებს, რომ

LEPL „Regulation Agency for Medical and Pharmaceutical Activities“ on duty to implement the “Single Convention on Narcotic Drugs of 1961” content requests on narcotic drugs and their derivatives confirms that:

იმპორტიორი ქვეყანა, იმპორტიორი ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართები.	Importing country, name, juridical and factual addresses of importing organization

უფლება აქვს შემოიტანოს საქართველოში

Has the right to import into Georgia

ექსპორტიორი ქვეყანა, ექსპორტიორი ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი	Exporting country, name and juridical address of exporting organization

შემდეგი ნარკოტიკული საშუალებები:

The following narcotic drugs:

პრეპარატის (ნივთიერების) დასახელება, რაოდენობა, ფარმაცევტული პროდუქტის ფორმა	Name of preparation (substance), amount, dosage form of pharmaceutical product

ტრანსპორტის სახეობა

Type of transportation _____



აღნიშნული სამკურნალო საშუალებები გამოყენებული იქნება

Which will be used _____

გაცემის თარიღი

Date of issue _____ 20--

მოქმედების ვადა

Date of expiry _____ 20--

სააგენტოს დირექტორი

ბ.ა.

Director of the Agency

(უკანა გვერდი)

იმპორტიორი ქვეყნის შემოსავლების სამსახურის შესაბამისი ორგანოს დასტური წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული ნივთიერებების ფაქტობრივი რაოდენობის იმპორტის შესახებ

Endorsement by relevant organ of revenue service of importing country on import of actual amount of substances specified by present document

გთხოვთ, შევსებული და დამოწმებული ბლანკი დაგვიბრუნოთ შემდეგ მისამართზე:

სსიპ „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო“

0119 თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №144, საქართველო.

Please, return filled and certified form to:

LEPL „Regulation Agency for Medical and Pharmaceutical Activities“

AK. TSERETELI AVENUE 144, 0119, TBILISI, GEORGIA

ბ) წინასწარი შეთანხმების დოკუმენტის ფორმა ფსიქოტროპული ნივთიერებების იმპორტზე

(წინა გვერდი)

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

Ministry of Internally displaced persons from the
occupied territories, Labor, Health and Social
Affairs of Georgia



ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტრო

სსიპ „სამედიცინო და ფარმაცევტული
საქმიანობის რეგულირების სააგენტო“

0119 თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №144
საქართველო



LEPL „Regulation Agency for Medical and
Pharmaceutical Activities“

AK. TSERETELI AVENUE 144, 0119, TBILISI,
GEORGIA

წინასწარი შეთანხმების დოკუმენტი ფსიქოტროპული ნივთიერებების იმპორტზე

DOCUMENT OF PRELIMINARY AGREEMENT ON PSYCHOTROPIC SUBSTANCES IMPORT

No 000000

სსიპ „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო“, რომელსაც ეკისრება „ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ“ გაეროს 1971 წლის კონვენციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება ფსიქოტროპულ ნივთიერებებსა და მათ წარმოებულეზზე, ადასტურებს, რომ

LEPL „Regulation Agency for Medical and Pharmaceutical Activities“ on duty to implement the “Convention on Psychotropic Substances of 1971“ content requests on psychotropic substances and their derivatives confirms that:

იმპორტიორი ქვეყანა, იმპორტიორი
ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული და
ფაქტობრივი მისამართები

Importing country, name, juridical and factual
addresses of importing organization

უფლება აქვს შემოიტანოს საქართველოში

Has the right to import into Georgia

ექსპორტიორი ქვეყანა, ექსპორტიორი
ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული
მისამართი

Exporting country, name and juridical address of
exporting organization

შემდეგი ფსიქოტროპული ნივთიერებები:

The following psychotropic substances:

პრეპარატის (ნივთიერების) დასახელება,
რაოდენობა, ფარმაცევტული პროდუქტის

Name of preparation (substance), amount, dosage



ფორმა	form of pharmaceutical product

ტრანსპორტის სახეობა

Type of transportation _____

აღნიშნული სამკურნალო საშუალებები გამოყენებული იქნება

Which will be used _____

გაცემის თარიღი

Date of issue _____ 20

მოქმედების ვადა

Date of expiry _____ 20

სააგენტოს დირექტორი

ბ.ა

Director of the Agency

(უკანა გვერდი)

იმპორტიორი ქვეყნის შემოსავლების სამსახურის შესაბამისი ორგანოს დასტური წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული ნივთიერებების ფაქტობრივი რაოდენობის იმპორტის შესახებ

Endorsement by relevant organ of revenue service of importing country on import of actual amount of substances specified by present document

-
-
გთხოვთ, შევსებული და დამოწმებული ბლანკი დაგვიბრუნოთ შემდეგ მისამართზე:
სსიპ „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო“



0119 თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №144. საქართველო.

Please, return filled and certified form to:

LEPL „Regulation Agency for Medical and Pharmaceutical Activities“

AK. TSERETELI AVENUE 144, 0119, TBILISI, GEORGIA

გ) წინასწარი შეთანხმების დოკუმენტის ფორმა 1988 წლის კონვენციით გათვალისწინებულ პრეკურსორების იმპორტზე

(წინა გვერდი)

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტრო

სსიპ „სამედიცინო და ფარმაცევტული
საქმიანობის რეგულირების სააგენტო“

0119 თბილისი , აკ . წერეთლის გამზ .
№144 საქართველო



Ministry of Internally displaced persons from the
occupied territories, Labor, Health and Social
Affairs of Georgia

LEPL „Regulation Agency for Medical and
Pharmaceutical Activities“

AK. TSERETELI AVENUE 144, 0119, TBILISI,
GEORGIA

წინასწარი შეთანხმების დოკუმენტი 1988 წლის კონვენციით გათვალისწინებული პრეკურსორების
იმპორტზე

**DOCUMENT OF PRELIMINARY AGREEMENT ON IMPORT OF PRECURSORS SPECIFIED BY
CONVENTION 1988**

No 000000

სსიპ „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო“, რომელსაც ეკისრება
„ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ
ბრძოლის შესახებ“ გაეროს 1988 წლის კონვენციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება
სამკურნალო დანიშნულების პრეკურსორებზე, ადასტურებს, რომ

LEPL „Regulation Agency for Medical and Pharmaceutical Activities“ on duty to implement “United Nations
Convention against the Illicit Traffic in Narcotic Drugs and Psychotropic Substances of 1988“ content requests
on precursors for medical use confirms that

იმპორტიორი ქვეყანა, იმპორტიორი



ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართები	Importing country, name, juridical and factual addresses of importing organization

უფლება აქვს შემოიტანოს საქართველოში

Has the right to import into Georgia

ექსპორტიორი ქვეყანა, ექსპორტიორი ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი	Exporting country, name and juridical address of exporting organization

შემდეგი ნივთიერებები:

The following substances:

პრეპარატის (ნივთიერების) დასახელება, რაოდენობა, ფარმაცევტული პროდუქტის ფორმა	Name of preparation (substance), amount, dosage form of pharmaceutical preparation

ტრანსპორტის სახეობა

Type of transportation _____

აღნიშნული სამკურნალო საშუალებები გამოყენებული იქნება

Which will be used _____

გაცემის თარიღი

Date of issue _____ 20--

ნებართვის მოქმედების ვადა

Date of expiry _____ 20--

სააგენტოს დირექტორი

ბ.ა

Director of the Agency



(უკანა გვერდი)

იმპორტიორი ქვეყნის შემოსავლების სამსახურის შესაბამისი ორგანოს დასტური წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული ნივთიერებების ფაქტობრივი რაოდენობის იმპორტის შესახებ

Endorsement by relevant organ of revenue service of importing country on import of actual amount of substances specified by present document

-

-

გთხოვთ, შევსებული და დამოწმებული ბლანკი დაგვიბრუნოთ შემდეგ მისამართზე:

სსიპ „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო“

0119 თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №144. საქართველო.

Please, return filled and certified form to:

LEPL „Regulation Agency for Medical and Pharmaceutical Activities“

AK. TSERETELI AVENUE 144, 0119, TBILISI, GEORGIA

დ) წინასწარი შეთანხმების დოკუმენტის ფორმა ნარკოტიკული საშუალებების ექსპორტზე

(წინა გვერდი)

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტრო

სსიპ „სამედიცინო და ფარმაცევტული
საქმიანობის რეგულირების სააგენტო“

0119 თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №144
საქართველო



Ministry of Internally displaced persons from the
occupied territories, Labor, Health and Social
Affairs of Georgia

LEPL „Regulation Agency for Medical and
Pharmaceutical Activities“

AK. TSERETELI AVENUE 144, 0119, TBILISI,
GEORGIA

წინასწარი შეთანხმების დოკუმენტი ნარკოტიკული საშუალებების ექსპორტზე



DOCUMENT OF PRELIMINARY AGREEMENT ON NARCOTIC DRUGS EXPORT

No 000000

სსიპ „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო“, რომელსაც ეკისრება „ნარკოტიკული საშუალებების შესახებ“ გაეროს 1961 წლის ერთიანი კონვენციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება ნარკოტიკულ საშუალებებსა და მათ წარმოებულეზზე, ადასტურებს, რომ

LEPL „Regulation Agency for Medical and Pharmaceutical Activities on duty to implement the “Single Convention on Narcotic Drugs of 1961” content requests on narcotic drugs and their derivatives confirms that:

ექსპორტიორი ქვეყანა, ექსპორტიორი ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული და ფაქტობრივი მისამართები	Exporting country, name, juridical and factual addresses of exporting organization

უფლება აქვს გაიტანოს საქართველოდან

Has the right to export from Georgia

იმპორტიორი ქვეყანა, იმპორტიორი ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი	Importing country, name and juridical address of importing organization

შემდეგი ნარკოტიკული საშუალებები:

The following narcotic drugs:

პრეპარატის (ნივთიერების) დასახელება, რაოდენობა, ფარმაცევტული პროდუქტის ფორმა	Name of preparation (substance), amount, dosage form of pharmaceutical product

ტრანსპორტის სახეობა

Type of transportation _____



იმპორტის ნებართვის №, გაცემის თარიღი და მოქმედების ვადა:

Number, date of issue and expiry of import certificate

აღნიშნული სამკურნალო საშუალებები გამოყენებული იქნება

Which will be used _____

გაცემის თარიღი

Date of issue _____ 20--

მოქმედების ვადა

Date of expiry _____ 20--

სააგენტოს დირექტორი

ბ.ა

Director of the Agency

(უკანა გვერდი)

ექსპორტიორი ქვეყნის შემოსავლების სამსახურის შესაბამისი ორგანოს დასტური წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული ნივთიერებების ფაქტობრივი რაოდენობის ექსპორტის შესახებ

Endorsement by relevant organ of revenue service of exporting country on export of actual amount of substances specified by present document

გთხოვთ, შევსებული და დამოწმებული ბლანკი დაგვიბრუნოთ შემდეგ მისამართზე:

სსიპ „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო“

0119 თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №144. საქართველო.

Please, return filled and certified form to:

LEPL „Regulation Agency for Medical and Pharmaceutical Activities ”

AK. TSERETELI AVENUE 144, 0119, TBILISI, GEORGIA

(უკანა გვერდი)

Endorsement by importing country



Please return to:

LEPL „Regulation Agency for Medical and Pharmaceutical Activities ”

AK. TSERETELI AVENUE 144, 0119, TBILISI, GEORGIA

ე) წინასწარი შეთანხმების დოკუმენტის ფორმა ფსიქოტროპული ნივთიერებების ექსპორტზე

(წინა გვერდი)

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტრო

სსიპ „სამედიცინო და ფარმაცევტული
საქმიანობის რეგულირების სააგენტო“

0119 თბილისი , აკ. წერეთლის გამზ. №144
საქართველო



Ministry of Internally displaced persons from the
occupied territories, Labor, Health and Social
Affairs of Georgia

LEPL „Regulation Agency for Medical and
Pharmaceutical Activities”

AK. TSERETELI AVENUE 144, 0119, TBILISI,
GEORGIA

წინასწარი შეთანხმების დოკუმენტი ფსიქოტროპული ნივთიერებების ექსპორტზე

DOCUMENT OF PRELIMINARY AGREEMENT ON PSYCHOTROPIC SUBSTANCES EXPORT

No 000000

სსიპ „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო“, რომელსაც ეკისრება
„ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ“ გაეროს 1971 წლის კონვენციით გათვალისწინებული
მოთხოვნების შესრულება ფსიქოტროპულ ნივთიერებებსა და მათ წარმოებულეზზე, ადასტურებს, რომ

LEPL „Regulation Agency for Medical and Pharmaceutical Activities ”on duty to implement the “Convention on
Psychotropic Substances of 1971” content requests on psychotropic substances and their derivatives confirms
that



ექსპორტიორი ქვეყანა, ექსპორტიორი ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული და ფაქტობრივი მისამართები	Exporting country, name, juridical and factual addresses of exporting organization

უფლება აქვს გაიტანოს საქართველოდან

Has the right to export from Georgia

იმპორტიორი ქვეყანა, იმპორტიორი ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი	Importing country, name and juridical address of importing organization

შემდეგი ფსიქოტროპული ნივთიერებები:

The following psychotropic substances:

პრეპარატის (ნივთიერების) დასახელება, რაოდენობა, ფარმაცევტული პროდუქტის ფორმა	Name of preparation (substance), amount, dosage form of pharmaceutical product

ტრანსპორტის სახეობა _____

Type of transportation

--

იმპორტის ნებართვის №, გაცემის თარიღი და მოქმედების ვადა:

Number of import certificate, date of issue and expiry:

აღნიშნული სამკურნალო საშუალებები

გამოყენებული იქნება

Which will be used _____

გაცემის თარიღი _____ 20--



Date of issue

მოქმედების ვადა

Date of expiry ——— 20--

სააგენტოს დირექტორი

ბ.ა

Director of the Agency

(უკანა გვერდი)

ექსპორტიორი ქვეყნის შემოსავლების სამსახურის შესაბამისი ორგანოს დასტური წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული ნივთიერებების ფაქტობრივი რაოდენობის ექსპორტის შესახებ

Endorsement by relevant organ of revenue service of exporting country on export of actual amount of substances specified by present document

გთხოვთ, შევსებული და დამოწმებული ბლანკი დაგვიბრუნოთ შემდეგ მისამართზე:

სსიპ „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო“

0119 თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №144. საქართველო.

Please, return filled and certified form to:

LEPL „Regulation Agency for Medical and Pharmaceutical Activities”

AK. TSERETELI AVENUE 144, 0119, TBILISI, GEORGIA

(უკანა გვერდი)

Endorsement by importing country

-

-

Please return to:

LEPL „Regulation Agency for Medical and Pharmaceutical Activities”

AK. TSERETELI AVENUE 144, 0119, TBILISI, GEORGIA



ვ) წინასწარი შეთანხმების დოკუმენტის ფორმა 1988 წლის კონვენციით გათვალისწინებული პრეკურსორების ექსპორტზე

(წინა გვერდი)

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტრო

სსიპ „სამედიცინო და ფარმაცევტული
საქმიანობის რეგულირების სააგენტო“

0119 თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №144
საქართველო



Ministry of Internally displaced persons from the
occupied territories, Labor, Health and Social
Affairs of Georgia

LEPL „Regulation Agency for Medical and
Pharmaceutical Activities“

AK. TSERETELI AVENUE 144, 0119, TBILISI,
GEORGIA

წინასწარი შეთანხმების დოკუმენტი 1988 წლის კონვენციით გათვალისწინებული პრეკურსორების
ექსპორტზე

DOCUMENT OF PRELIMINARY AGREEMENT ON EXPORT OF PRECURSORS SPECIFIED BY
CONVENTION 1988

No 000000

სსიპ „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო“, რომელსაც ეკისრება
„ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ
ბრძოლის შესახებ“ გაეროს 1988 წლის კონვენციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება
სამკურნალო დანიშნულების პრეკურსორებზე, ადასტურებს, რომ

LEPL „Regulation Agency for Medical and Pharmaceutical Activities“ on duty to implement “United Nations
Convention against the Illicit Traffic in Narcotic Drugs and Psychotropic Substances of 1988” content requests
on precursors for medical use confirms that

ექსპორტიორი ქვეყანა, ექსპორტიორი ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული და ფაქტობრივი მისამართები	Exporting country, name, juridical and factual addresses of exporting organization

უფლება აქვს გაიტანოს საქართველოდან

Has the right to export from Georgia



იმპორტიორი ქვეყანა, იმპორტიორი ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი	Importing country, name and juridical address importing organization

შემდეგი ნივთიერებები:

The substances:

პრეპარატის (ნივთიერების) დასახელება, რაოდენობა, ფარმაცევტული პროდუქტის ფორმა	Name of preparation (substance), amount, dosage form of pharmaceutical product

ტრანსპორტის სახეობა

Type of transportation _____

იმპორტის ნებართვის №, გაცემის თარიღი და მოქმედების ვადა:

--

Number of Import certificate, date of issue and expiry:

აღნიშნული სამკურნალო საშუალებები გამოყენებულ იქნება

Which will be used _____

გაცემის თარიღი

Date of issue _____ 20--

მოქმედების ვადა

Date of expiry _____ 20--

სააგენტოს დირექტორი

ბ.ა

Director of the Agency

(უკანა გვერდი)

ექსპორტიორი ქვეყნის შემოსავლების სამსახურის შესაბამისი ორგანოს დასტური წინამდებარე
დოკუმენტით გათვალისწინებული ნივთიერებების ფაქტობრივი რაოდენობის ექსპორტის შესახებ

Endorsement by relevant organ of revenue service of exporting country on export of actual amount of substances



-

-

გთხოვთ, შევსებული და დამოწმებული ბლანკი დაგვიბრუნოთ შემდეგ მისამართზე:

სსიპ „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო“

0119 თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №144. საქართველო.

Please, return filled and certified form to:

LEPL „Regulation Agency for Medical and Pharmaceutical Activities”

AK. TSERETELI AVENUE 144, 0119, TBILISI, GEORGIA

(უკანა გვერდი)

Endorsement by importing country

-

-

-

Please return to:

LEPL „Regulation Agency for Medical and Pharmaceutical Activities”

AK. TSERETELI AVENUE 144, 0119, TBILISI, GEORGIA

